პრეზენტაცია-დისკუსია: „დიასპორა და სახელმწიფო: თანამშრომლობის და ურთიერთმხარდაჭერის პერსპექტივები

2014 წლის 16 ოქტომბერს 10:00 საათზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გამართა დისკუსია "დიასპორა და სახელმწიფო: თანამშრომლობის და ურთიერთმხარდაჭერის პერსპექტივები".

შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა კვლევის "დიასპორა და სახელმწიფო: ირლანდიის, იტალიისა და სლოვენიის გამოცდილება" შედეგები. ასევე საუბარი იყო საქართველოში დიასპორასთან ურთიერთობის კუთხით განხორციელებულ და დაგეგმილ ინიციატივებზე.

დისკუსიის ბოლოს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გამოავლინა დიასპორულ ვიდეო კონკურსში ,, დიასპორა - ხიდი საქართველოსთან“ გამარჯვებული ნამუშევარი.

შეხვედრა ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის □□□□□□□□□□□□□ და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა A ფარგლებში, რომელსაც საია-კავკასიური ინსტიტუტი ერთობლივად ახორციელებენ.